მიშელ ფუკო

ზედამხედველობა და დასჯა

1757 წლის 2 მარტს, დემიენს მიუსაჯეს ,,საჯაროდ მოენანიებინა პარიზის ტაძრის მთავარი კარიბჭის წინაშე;" ის ,,ფორნით უნდა მოეყვანათ, პერანგის ამარას ერთ ხელში ორი ფუტის წონის ანთებული სანთელი უნდა სჭეროდა,“ შემდეგ ,,იმავე ფორნით გრევის მოედანზე მიიყვანდნენ და ჯალათის კუნძზე, გავარვარებული მაშებით, ხელები, კანჭები, თეძოები და ძუძუს დვრილები დაეფლითათ.თანაც მას ხელში ის დანა უნდა სჭეროდა, რომლითაც მეფის მოკვლას აპირებდა. ეს ხელი უნდა დაეწვათ ანთებული გოგირდით, ხოლო დაფლეთილი ადგილები მაშებით დაედაღათ.

,,ბოლოს ის ოთხად გაგლიჯეს - წერდა ,,ამსტერდამის გაზეთი“ - უკანასკნელმა მოქმედებამ დიდი დრო წაიღო, რადგან ცხენები გაწევაზე არ იყვნენ დაგეშილები; ამიტომ ოთხის მაგივრად ექვსი ცხენი ჩააბეს, მაგრამ ესეც კი ცოტა აღმოჩნდა და ამ უიღბლოსთვის როგორმე კიდურები რომ მოეგლიჯათ, მყესები გადაუჭრეს და სახსრები ჩაულეწეს...

ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოუსწორებელი ღვთისმგობელი იყო, მცირე ლანძღვაც არ დასცდენია ბაგეებიდან. ენით აუწერილი ტკივილის გამო, გოდებდა და ხშირად იმეორებდა: ,,უფალო იესო, გემუდარები, დამეხმარე უფალო.“ თვითმხილველებისათვის სამაგალითო იყო წმინდა პავლეს ეკლესიის მღვდლის მზრუნველობა, რომელიც ხნიერების მიუხედავად, დასჯილს დაუღალავად ანუგეშებდა.“

აი, რას გვიყვება დარაჯი ბუტონი: ,,დემიენი სხეულის ფლეთვის გამო ბევრს ღრიალებდა, მაგრამ ღმერთი არ დაუგმია. თავი წამოსწია და თავის სხეულს დააკვირდა. იმავე ჯალათმა, მაშები რომ ჰქონდა მიჩენილი, დაკაპიწებული ხელებით მდუღარე ქვაბში ჩამჩა ჩაყო და ბლომად მოასხა ყველა ჭრილობაზე. შემდეგ დასჯილის სხეულზე, ორივე ხელზე და ფეხზე, ერთი ბოლოთი წვრილი ბაგირები მიაბეს, მეორე ბოლოთი კი ცხენის აღკაზმულობას.

სასამართლოს მდივანი, ღრმად პატივცემული ლე ბრეტონი რამდენჯერმე მივიდა დასჯილთან და ჰკითხა, რაიმეს თქმა ხომ არ სურდა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. ყოველ მცდელობაზე, ის ჯოჯოხეთური ხმით ღრიალებდა: ,,ღმერთო შემიწყალე! შემიწყალე უფალო!“ ამ ტანჯვათა მიუხედავად დროდადრო ის თავს წევდა და გაბედულად

იყურებოდა. კიდურებზე ბაგირები იმდენად მჭიდროდ იყო მიბმული, რომ ენითაუწერელ ტკივილს აყენებდა. ბატონი ლე ბრეტონი კიდევ ერთხელ მივიდა კუნძთან და ჰკითხა, რაიმეს თქმა ხომ არ სურდა. მისგან ისევ უარი მიიღო. რამდენიმე სასულიერო პირი მას მიუახლოვდნენ და ბევრს ელაპარაკებოდნენ. მიტანილ ჯვარცმას ის ჰკოცნიდა, ტუჩებს წინ წევდა და სულ ამას იმეორებდა: „უფალო, შემიწყალე“.

ცხენები უშედეგოდ ცდილობდნენ მის გაგლეჯვას. ორი-სამი მცდელობის შემდეგ, ჯალათმა სამსონამა და ჯალათმა, რომელსაც მაშები ეკავა, ჯიბეებიდან დანები ამოიღეს და ვინაიდან მეტი გზა არ იყო, სხეული ბარძაყებში გადაუჭრეს. ოთხმა ცხენმა მთელი ძალით გაითრია და ორივე ფეხი მოაგლიჯა - ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა. შემდეგ, ხელები გადაუჭრეს, წინა მხრის კუნთები და შერჩენილი იოგები. გადაჭრა თითქმის ძვლის დონემდე გახდა საჭირო. გულამოვარდნილმა ცხენებმა წინ გასწიეს, ჯერ მარჯვენა ხელი მოაგლიჯეს, შემდეგ მარცხენა.

ოთხივე კიდური მოწყვეტილი ჰქონდა, როდესაც სასულიერო პირები მასთან დასალაპარაკებლად მივიდნენ. ჯალათმა თქვა, რომ ის მკვდარია, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, დავინახე როგორ ინძრეოდა. ქვედა ყბა ჯერ ჩამოუვარდა და მერე ისევ ზემოთ აეწია, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ერთ-ერთმა ჯალათმა ისიც კი თქვა, კოცონში გადასაგდებად ტანი რომ აუწევიათ, ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

ტანი, ხორცის ნაფლეთებთან ერთად ოთხი საათი იწვოდა. ოფიცრები, მათ შორის მე და ჩემი შვილი, მშვილდოსანთა დანაყოფთან ერთად ლამის თერთმეტ საათამდე დავრჩით.

ზოგიერთებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს იმ გარემოებას, რომ მეორე დილით ძაღლი მოვიდა და იმ ადგილას დაწვა, სადაც კოცონი იყო. რამდენჯერმე სცადეს მისი გაგდება, მაგრამ ყოველ ჯერზე უკან ბრუნდებოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო - ძაღლი გრძნობდა, რომ ამ ადგილას უფრო მეტი სითბო იყო, ვიდრე სხვაგან.“

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გაქრა დასჯილ-ნაწამები, დაფლეთილი, სახესა თუ მხარზე სიმბოლურად დაღდასმული სხეული, რომელიც ცოცხალი ან მკვდარი თეატრალურ სანახაობად გამოჰქონდათ. გაქრა სხეული, როგორც სისხლის სამართლის დევნის მთავარი სამიზნე.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, ცალკეული კაშკაშა გაელვებების მიუხედავად, წყვდიადით მოცული სადამსჯელო ზარზეიმი ჩაქრობას იწყებს. სასჯელი, როგორც სანახაობა, თანდათან ქრება; დასჯის ცერემონიალი სცენიდან ჩამოდის. ის ნარჩუნდება მხოლოდ როგორც ახალი პროცედურული ან ადმინისტრაციული აქტი. საჯარო მონანიება საფრანგეთში პირველად 1791 წელს გაუქმდა, და ახლიდან, მცირეხნიანი აღდგენის შემდეგ, 1830 წელს. სამარცხვინო ბოძი უქმდება საფრანგეთში 1789, ხოლო ინგლისში 1837 წელს. ავსტრიაში, შვეიცარიასა და

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში (მაგალითად, პენსილვანიაში) დაპატიმრებულებს იყენებდნენ საზოგადოებრივი სამუშაოების შესასრულებლად. იქნებოდა ეს ქუჩების დასუფთავება თუ გზების შეკეთება; პირდაპირ ქუჩებში ან მთავარ გზებზე, ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილ, ბორკილდადებული რკინის საყელოებიან კატორღელებს ბრბოსთან შემხვედრისას შეძახილები, გინება, დაცინვა, აგრესიულ ჟესტები და სოლიდარობის ნიშნები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ამგვარი პრაქტიკა თითქმის ყველგან გაუქმდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში.

დასჯა, თანდათანობით, სისხლის სამართლის პროცედურების ფარული ნაწილი ხდება. ამას რამდენიმე შედეგი მოჰყვა: დასჯა, ლამის ყოველდღიური ყოფიდან გამოდის და აბსტრაქტული ცნობიერების ველში იჭრება. დასჯის ეფექტურობა განისაზღვრება მისი აუცდენლობით და არა შთაბეჭდილების მომხდენი ქმედებებით. განაჩენის გამოტანა აღსრულებისას ავტონომიურ სექტორში ინაცვლებს, მისი ადმინისტრაციული მექანიზმი კი სასამართლოს უხსნის ამ პასუხისმგებლობებს. მახასიათებელი ნიშანია, რომ დიდი ხნის განმავლობაში, საფრანგეთში, ციხეების მართვა და ადმინისტრირება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეებში შედიოდა, ხოლო კატორღების მართვა - საზღვაო ფლოტისა და კოლონიების სამინისტროს მიერ კონტროლდებოდა. როლთა ზემოთხსენებული დიფერენციაციის გარდა, ადგილი ჰქონდა თეორიულ უარს: ნუ კი ფიქრობთ, ჩვენს, მოსამართლეების მიერ გამოტანილი განაჩენი დასჯის სურვილითაა მოტივირებული; არა, ისინი გამოსასწორებლად, შესაგონებლად და განსაკურნებლად არიან მოწოდებულნი. გამოსწორების ტექნიკა დასჯის პრაქტიკიდან გამოდევნის საკუთრივ ბოროტებაში თანამონაწილეობის საფასურს და მოსამართლეებს საზიზღარი სადამსჯელო ტვირთისაგან ათავისუფლებს. ახალ მოსამართლეებსა და ზოგიერთ მაღალჩინოსანს თითქოსდა ერცხვინებათ კიდეც ვინმეს დასჯა, რაც სხვათაშორის, გულისხმიერებას არ გამორიცხავს. სირცხვილის გრძნობა გამუდმებით იზრდება: ამ სულიერი ჭრილობის ირგვლივ კი ფუთფუთებენ და მრავლდებიან ფსიქოლოგები და მორალური ორთოპედიის წვრილი ჩინოვნიკები.

წამებაზე თავშეკავების შედეგად, ჯალათის ადგილს სპეციალისტთა მთელი არმია იკავებს:

ზედამხედველები, ექიმები, სატუსაღოს მღვდლები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, აღმზრდელები. დასჯილის გვერდით დგომით ისინი პატივს მიაგებენ სასამართლოს, რაც მას ესოდენ სჭირდება. ისინი არაერთხელ არწმუნებენ მას, რომ სხეული და ტკივილი, სადამსჯელო ღონისძიებების საბოლოო ნაწილი არ არის. ისინი აფიქრებენ, რომ ჩვენს დროში, ექიმი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე სიკვდილმისჯილისთან უნდა იყოს, იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე და ტანჯვა შეუმსუბუქოს. ის სამართალდამცავების გვერდით დგას, რომელთა ვალი სიკვდილით დასჯაა. როცა განაჩენის აღსრულების დრო დგება, პაციენტ-მსხვერპლს ტრანსკვილიზატორებს შეუყვენენ. სასამართლოს სირცხვილის უტოპია: წაართვი სიცოცხლე ისე, რომ ვერ იგრძნოს, ყველა უფლება აჰყარე, მაგრამ წამება არ დაუშვა; დასაჯე,

მაგრამ ტკივილი არ მიაყენო. ფსიქოფარმაკოლოგიისა და სხვადასხვა ფიზიოლოგიური „გამომრთველების“ გამოყენება, „უსხეულო“ დასჯის ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენენ.

გილიოტინა, რომელიც 1783 წელს სრულყვეს, პირველად 1760 წელს ინგლისში გაჩნდა. 1791 წელს კი, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის ცნობილი მესამე პუნქტი გვაუწყებს: „ყოველი სიკვდილმისჯილი დაისაჯოს თავის მოკვეთით.“ გილიოტინა სიცოცხლეს ისე სპობს, რომ თითქმის, სხეულსაც არ ეხება, ისევე როგორც ციხეში ხდება თავისუფლების აღკვეთა ან როგორც დაკისრებული ჯარიმით ქონებას რაღაც ნაწილი აკლდება. ის ისეა მოფიქრებული, რომ კანონის მიყენება ხდებოდეს არა იმდენად, რეალურ სხეულზე, რომელსაც ტკივილის განცდის უნარი აქვს, რამდენადაც იურიდიულ პირზე რომელსაც სისცოცხლის უფლება აქვს.

საფრანგეთში, გილიოტინამ, როგორც შეუმჩნეველმა და სწრაფი სიკვდილის მექანიზმმა, სამართლებრივი სიკვდილით დასჯის ახალი ეპოქა მონიშნა. რევოლუციამ მის გამოყენებას დიდი თეატრალური რიტუალის მნიშვნელობა შესძინა. იმისათვის რომ დასჯას სანახაობრივი ფუნქცია დაეკარგა, რომ ქცეულიყო სასამართლოსა და დამნაშავის საიდუმლოებად, გილიოტინის სენ-ჟენში გადატანა გახდა აუცილებელი. დამნაშავის გადასაყვანი ღია ურემი კარეტამ შეცვალა, რისი საშუალებითაც ის მოულოდნელად გამზადებულ ეშაფოტზე გამოჰყავდათ. საბოლოოდ ის ციხეებში დადგეს და პუბლიკისთვის ხელმიუწვდომელი გახადეს.

თანამდროვე, სისხლის სამართლის აღსრულების მექანიზმებში, საჯაროდ წამების კვალი მაინც ნარჩუნდება, რადგანაც ფაქტობრივად, პატიმრობა მოიცავდა სხეულზე მიყენებულ ტანჯვას: სიცივეს, შიმშილს და ა.შ. დასჯის ახალი პრინციპი, ერთხელ და სამუდამოდ XVIII-საუკუნის 60-იან წლებში მაბლიმ წამოაყენა: “უნდა დაისაჯოს უფრო სული, ვიდრე სხეული.“ მნიშვნელოვანი მომენტია, რომ სანახაობრივი დასჯის მონაწილეები, სხეული და სისხლი სცენიდან ჩამოდიან.

ძირფესვიანად შეიცვალა „დანაშაული,“ როგორც სისხლის სამართლის პრაქტიკის ობიექტი: შეიცვალა უფრო მისი თვისება, ბუნება და შინაარსი, ვიდრე ფორმალური განსაზღვრა. „დანაშაულისა და ბრალის“ სახელით ძველებურად ასამართლებენ კოდექსით განსაზღვრულ იურიდიულ ობიექტს, თუმცა ამავე დროს ასამართლებენ ვნებებს, ანომალიებს, ფიზიკურ ნაკლს, უნარშეზღუდულობას; ასამართლებენ აგრესიის აქტს, თუმცა ამავე დროს აგრესიულობას, გაუპატიურებას და თან გარყვნილებას, მკვლელობას და ამასთანავე მის წადილს.

სასამართლოზე, დამნაშავეს მოიხსენეიბენ უკვე არა მხოლოდ იმიტომ, რომ დანაშაულის ბუნება ახსნან და მასზე იურიდიული პასუხიხმგებლობა გაავრცელონ; მას იძახებენ პათოსით, გაგების წყურვილით, მეცნიერული ვნებით. 150-200 წლის განმავლობაში, რაც

ევროპამ ახალი სამართლებრივი სისტემა დანერგა, თანდათანობით, მოსამართლეებმა არა დანაშაულის, არამედ დამნაშავეთა ,,სულების" დასჯა დაიწყეს. სამმა პირობამ: სამართალდარღვევის, დამნაშავის, კანონის შესწავლა-ცოდნამ შესაძლებელი გახადა სამართლიანი განაჩენის გამოტანის საფუძველი გამხდარიყო. სამართალწარმოების, სამართლიანი განაჩენის გამოტანის სტრუქტურაში, დამნაშავესთან მიმართებაში, შეფასების, დიაგნოსტირების, პროგნოზირებისა და ნორმატიული მსჯელობის მთელი კომპლექსი დაინერგა.

ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ფული და წარმოება განვითარებას იწყებს, სხეულის დასჯის მკვეთრი რაოდენობრივი ზრდა შეინიშნება, - აკი სხეული იყო ერთადერთი ის საკუთრება, რაც ხალხის უმრავლესობის განკარგულებაში იმყოფებოდა. გამოსასწორებელი სახლი, იძულებითი შრომა და ციხე, საბაზრო ეკონომიკასთან ერთად წარმოიშვა.

თანამედროვე საზოგადოებაში არსებული დასჯის სისტემები სხეულის ,,პოლიტიკური ეკონომიის" განსაზღვრებაში უნდა შევიტანოთ. სხეულის ისტორიის აღწერა დიდი ხანია რაც მემატიანეებმა დაიწყეს. ისინი სხეულს ისტორიული დემოგრაფიისა და პათოლოგიის პრიზმაში ხედავდნენ. ეუფლებოდნენ, დაღავდნენ და წვრთნიდნენ სხეულს; აიძულებდნენ შრომას, ცერემონიებში მონაწილეობის მიღებას. სხეულის პოლიტიკური ფლობა ორმხრივად უკავშირდება მის ეკონომიკურ გამოყენებას. ძალაუფლებისა და ბატონობის მიერ სხეულის ურთიერთფლობა ისე ხდება, როგორც საწარმოო ძალების შემთხვევაში. მეორე მხრივ, მის როგორც სამუშაო ძალის ფუნქციას განხორციელება მაშინ შეუძლია, თუ ის დაქვემდებარების სისტემაში ჩაერთვება. სხეული სასარგებლო მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის მწარმოებელთან ერთად, დაქვემდებარებული სხეულიცაა. მისი ფუნქციონირებისაგან განსხვავებით, შესაძლებელი ხდება სხეულის შეცნობა და დამმორჩილებელი ძალების მიერ ფლობა. ცოდნა და ფლობა სხეულის პოლიტიკურ ტექნოლოგიას ქმნის. გარკვეული აზრით, ხსენებული ინსტიტუტები და აპარატები, მოქმედების ველის ძალაუფლების მიკროფიზიკას გაატარებენ, რომელიც სხეულსა და ძალაუფლებას შორისაა გადაჭიმული.

ძალაუფლების მეტაფიზიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძალაუფლება აღიქმება, არა როგორც მიღწევა, არამედ როგორც სტრატეგია. ბატონობის ზეგავლენა არა ,,გათავისებას" არამედ მექანიზმებს, მანევრებს, ტაქტიკას ტექნიკებს, მოქმედებებს მიეწერება. მასში უნდა დავინახოთ შეუცვლელი დაძაბულობის, აქტიური ურთიერთობების ქსელი და არა პრივილეგიები, რომელსაც უნდა დაეუფლო. მისი მოდელი შეიძლება აღვწეროთ, უფრო როგორც განუწყვეტელი ბრძოლა, ვიდრე შეთანხმება უფლებებსა და უპირატესობებზე ანდა ტერიტორიების დაპყრობებზე. ძალაუფლება, უფრო მიმართების კატეგორიაში შედის, ვიდრე მიკუთვნებულობის. ის პრივილეგია არ არის; გაბატონებული კლასების მიერ არ ხდება მისი შეძენა და შენახვა, ის ამ კლასის სტრატეგიული პოზიციების თანხვდომილი ზემოქმედებაა, რომელიც აღმოცენდება და ზოგჯერ ფართოვდება, ბატონობის ობიექტთა მდგომარეობების გამოისობით. გარდა ამისა, ძალაუფლება არ მიემართება როგორც დაკისრებული მოვალეობა

ანდა აკრძალვა მასზე, ვისაც ის „არ აქვს“. ის მოიცავს ამ უკანასკნელთ, გადაეცემა მათი მეშვებით და მათი გავლით. ის მათზე იმავე ძალით ზემოქმედებს, რა ძალითაც მისი მოწინააღმდეგეები წინააღმდეგობას უწევენ. ესე იგი, ძალაუფლებრივი დამოკიდებულებები განჭოლავს პირდაპირ ხალხს. ისინი არ ლოკალიზდებიან სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის, კლასთა შორის ურთიერთობათა საზღვრებზე და არც უბრალოდ წარმოქმნიან, ინდივიდების, სხეულების, ჟესტების, მოქმედებების დონეზე, კანონის თუ მმართველობის საერთო ფორმას. ისინი გამოიხატებიან არასტაბილურობის კერებსა და შეჯახებათა უსასრულო რაოდენობის წერტილებში, რომელთაგან თითოეული თავის თავში ატარებს კონფლიქტების, ბრძოლის და უკიდურეს შემთხვევაში ძალთა თანაფარდობის დროებით ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, „მიკროძალაუფლებათა“ დამხობა არ ექვემდებარება „სულ ყველაფრის ან არაფრის კანონს“, ის არ მიიღწევა ერთხელ და სამუდამოდ, არც ფუნქციონირების და არც დესტრუქციის ინსტიტუტების მეშვებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ძალაუფლება აწარმოებს ცოდნას, რომ ცოდნა და ძალაუფლება ერთმანეთს გულისხმობენ. „ცოდნა-ძალის“ ურთიერთმიმართება არ უნდა გავაანალიზოთ, ძალაუფლებისგან თავისუფალი თუ არათავისუფალი შემმეცნებელი სუბიექტის საფუძველზე. პირიქით, იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ შემმეცნებელი სუბიექტი, შესამეცნებელი ობიექტები და შემეცნების მოდალობები, „ცოდნა-ძალაუფლების“ ფუნდამენტური იმპლიკაციური მიმართების თავისთავად გამოვლინებას და მათ ისტორიულ ტრანსფორმაციებს წარმოადგენს. სიტყვას შემმეცნებელი სუბიექტი კი არ აწარმოებს, არამედ ცოდნა-ძალა. იწარმოება იმ პროცესებისა და ბრძოლის მიერ, რომელიც განჭოლავს და ქმნის კომუნიკაციას, რომელიც განსაზღვრავს ფორმებსა და შემეცნების შესაძლო საზღვრებს.

“მეფის სხეულის” შესანიშნავი ანალიზი მოგვცა კანტოროვიჩმა: შუა საუკუნეების იურიდიული თეოლოგიის თანახმად, მეფის ორი სხეული, დაბადება-სიკვდილით განპირობებული ხრწნადი ელემენტის გარდა, ზედროულ ელემენტსაც მოიცავს, რომელიც გვირგვინის ფიზიკური, თუმც ხელუხლებელი საყრდენია. ამ ორმაგობის ირგვლივ იქმნება იკონოგრაფია, მონარქიის პოლიტიკური თეორია, სამართლებრივი მექანიზმები; ისინი განასხვავებენ და იმავდროულად აკავშირდებენ მეფის პიროვნულობას გვირგვინის მოთხოვნებთან და მთელ რიტუალთან, რომელიც თავის კულმინაციას კორონაციის, დაკრძალვისა და დამორჩილების ცერემონიაში აღწევს. მეორე პოლუსზე შეგვიძლია დასჯილის სხეული წარმოვიდგინოთ: მასაც სამართლებრივი სტატუსი აქვს და ქმნის საკუთარ ცერემონიალს და იწვევს მთელ თეორიულ დისკურსს; თუმცა ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ სუვერენის კუთვნილი „ძალაუფლების ნამატი“ დააფუძნოს, არამედ იმიტომ, რომ დასჯილთა სხეულზე დადაღული „ძალაუფლების უკმარისობა“ გამოხატოს. პოლიტიკური ველის ყველაზე ბნელ ადგილას, დასჯილი, მეფის სიმეტრიულ და ამობრუნებულ სურათ-ხატს წარმოადგენს.

თუ მეფის ნამატ ძალაუფლებას მისი სხეულის გაორმაგებამდე მივყავართ, დასჯილის სხეულზე მიყენებისას, ხომ არ მიგვიყვანს ეს ასევე სხვა სახის გაორმაგებასთან, ანუ უსხეულო სულთან? არასწორი იქნებოდა იმისი თქმა, რომ სული, ილუზია ან იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგია. პირიქით, ის არსებობს, ნამდვილია და დასჯილებზე მაკონტროლებელი ძალაუფლების მოქმედებაში მოყვანით ის იქმნება სხეულის გარშემო, ზედაპირზე და მის შიგნით. ქრისტიანული თეოლოგიის წარმოდგენილი სულისაგან განსხვავებით, ისტორიული სული, თანშობილი ცოდვით კი არ იშვება, რომელიც ჯერ არს დაისაჯოს, არამედ იშვება დასჯის, ზედამხედველობის, იძულების პროცედურებით. ეს რეალური და უსხეულო სული სუბსტანცია არ არის. ის ელემენტია, რომელშიც ძალაუფლების განსაზღვრული ტიპის და ცოდნის განსაზღვრული სფეროს გამოვლინება ჩენადობს. ეს არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლების მიმართება შობს ცოდნის შესაძლებლობას, ხოლო ცოდნა ძალაუფლების ზემოქმედებას ავრცელებს და განამტკიცებს. ადამიანი რაღაცა უფრო სიღრმისეულის დამორჩილების შედეგია, ვიდრე თვითონ არის. სული, რომელიც მასში მკვიდრობს, ანიჭებს არსებობას, რომელიც თავად ბატონობის ელემენტია, როგორც სხეულზე ძალაუფლების განმახორციელებელი რამ. სული პოლიტიკური ანატომიის შედეგი და ინსტრუმენტია. სული - სხეულის საპყრობილეა.

1. **1. დასჯა მთელი თავისი ბრწყინვალებით**

ამ ეპოქაში წამება რიტუალის შემადგენელი ნაწილია და ორ პირობას აკმაყოფილებს: დასჯილის სხეულის იარების ანუ დასჯის ბრწყინვალების მეშვეობით, მას სამარცხვინოს იარლიყი მიაწებოს. ხალხმა საჯარო სანახაობა, სამარცხვინო ბოძი, ტანჯვა და წამება უნდა დაიმახსოვროს. სასამართლოს თვალსაზრისით კი, წამება ნათელი და საჯაროდ ხილვადი უნდა იყოს, რათა ამით ის სამართლიანობის ზეიმად იქნეს აღქმული. თვით გადამეტებული ძალადობა სამსჯავროს დიდების ელემენტია: ის ფაქტი, რომ დამნაშავე დარტყმების გამო კვნესის და ოხრავს, არა სამარცხვინო გვერდითი მოვლენა, არამედ თვითონ სამსჯავროს ცერემონიალია, მთელი თავისი ძალმოსილებით.

სხეულის დასჯა წამების გამოყენებით არ ამოიწურება: ის თავისთავად დიფერენცირებულ ტანჯვის მიყენებას და მწამებელ ძალაუფლებას წარმოადგენს. წამების გადამეტებაში ძალაუფლების ეკონომიაა ჩადებული.XVI საუკუნეში მიღებული სამართალწარმოება სათავეს ხალხის მღელვარების, შეძახილებისა და მისალმების შიშისაგან ღებულობდა. ეს ,,შიში იმ არეულობის, ძალადობის და ატეხილი შფოთისაგან მოდიოდა, რომელიც მოსარჩელე მხარეების ან სულაც მოსამართლის წინააღმდეგ იყო მიმართული.“ საქმის ამგვარი წარმოებით მეფეს იმის თქმა სურდა, რომ ,,სუვერენის ძალაუფლება“, რომელიც დასჯის უფლებას თავისთვის იტოვებდა, არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა ,,მასას“. სუვერენის სამსჯავროს წინაშე, ყველას ხმა უნდა ჩაეწყვიტა.თუმცა, სამართალწარმოების გასაიდუმლოებული ბუნების მიუხედავად, ჭეშმარიტების დასადგენად დადგენილი წესებისადმი მორჩილება მოითხოვებოდა. საიდუმლო, სისხლის სამართლის ამოქმედებისას,

თვისთავად ჭეშმარიტების მკაცრ მოდელს მოითხოვდა. შუა საუკუნეებში დაწყებული ტრადიცია, რომელიც აღორძინების ეპოქის სამართალმცოდნეების წყალობით მნიშვნელოვნად განვითარდა, მტკიცებულებათა ხასიათსა და სანდოობას ადგენდა.

სასამართლო მოკვლევის წარმოების ფუნქცია - ჭეშმარიტების დამატებაა. ამგვარი მოკვლევა არ წარმოადგენდა სიმართლის ნებისმიერ საფასურად გამოგლეჯვას. ის თანამედროვე დაკითხვების ზღვარდაუდგენელი წამებისაგან განსხვავდებოდა. რასაკვირველია, ის მკაცრი იყო, მაგრამ ველური არ ყოფილა. ის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურების მოწესრიგებული პრაქტიკა იყო. წამების მომენტები, ხანგრძლივობა, გამოყენებული იარაღები, თოკების სიგრძე, გირებისა და სოლების რაოდენობა, გამომძიებელი ჩინოვნიკის საქმეში ჩარევის დოზა - ეს ყველაფერი განსაზღვრული იყო სხვადასხვა ადგილობრივი ჩვეულებით და რეგლამენტირებული იყო დეტალურად. წამება - მკაცრი წესებით მართული სასამართლო თამაშია.

მსხვერპლს, როგორც წესი, პაციენტად მოიხსენიებდნენ. მასზე სისასტიკის სხვადასხვა დოზას იყენებდნენ; ის ან მოითმენდა ამ წამებებს და ,,გაიმარჯვებდა'' ან ვეღარ გაუძლებდა და დანაშაულს აღიარებდა. ჭეშმარიტების ,,სწრაფი'' ძიების, წამების გარეგნულ სიმკაცრეში ღვთის სამსჯავროს განსაცდელის გადადებული მექანიზმი იმალება: ჭეშმარიტების დადგენაზე მოწოდებული, ფიზიკური გამოწვევა. თუ პაციენტი დამნაშავეა, მაშინ მასზე წამებით მიყენებული დასჯა აღარ იქნება დაუმსახურებელი; თუ უდანაშაულოა, მაშინ წამება მისვე გამართლებას ემსახურება.

მტკიცებულება ექვემდებარებოდა არა ,,ჭეშმარიტი ან მცდარის'' დუალისტურ პრინციპს, არამედ თანდათანობით გრადაციას. მტკიცებულობის რაღაცა დონე უკვე აღნიშნავდა დანაშაულის შესაბამის დონეს და ამდენად, რაღაც სასჯელსაც.

საჯარო დასჯა გაგებულ უნდა იქნეს არა მარტო, როგორც სამართლებრივი, არამედ როგორც პოლიტიკური რიტუალი. მისი გამოყენების მეორეხარისხოვან შემთხვევებშიც კი ის მიეკუთვნეობოდა იმ ცერემონიებს, რომელთა საშუალებითაც ძალაუფლება საკუთარ თავს ამჟღავნებს.

დასჯისას, მეფე სამაგიეროს მიუზღავს: ერთი მხრივ, მისი სამეფო აღმატებულობისადმი მიყენებული ზარალის, ხოლო მეორე მხრივ, მისი პიროვნული შეურაცხყოფის გამო. დასჯა იმის საშუალებაა, რომ ერთსა და იმავე დროს, საზღაური მიეგოს მეფის პიროვნულ და სახელმწიფო ასპექტებს, რადგან სუვერენის ფიზიკურ-პოლიტიკური ძალაუფლება რაღაცა აზრით კანონში თანამყოფობს.

საჯარო დასჯა იურიდიულ და პოლიტიკური ფუნქციას აღასრულებს. ის არის ცერემონიალი, რომლის მეშვეობითაც სუვერენის დარღვეული ძალაუფლება ერთ წამში

აღდგება მთელი თავისი ბრწყინვალებით.დასჯის მიზანი არა იმდენად თანასწორობის აღდგენაა, რამდენადაც ის რომ მიაღწიოს, სუვერენსა და ქვეშემრდომთა შორის ასიმეტრიულობის კულმინაციას. დამნაშავის სხეულის მეშვეობით ყველას უნდა შეეგრძნო სუვერენის ზღვარგადასული თანაყოფნა. საჯარო დასჯა არ აღადგენდა სამართლიანობას. ის რეაქტუალიზებას უწევდა ძალაუფლებას.

საჯარო დასჯას, როგორც შეიარაღებული კანონის რიტუალს, რომელშიაც სუვერენი მსაჯულისა და მთავარსარდლის გაუმიჯნავ, ორმაგ სახეს გამოავლენს, ორი ასპექტი აქვს: გამარჯვების და ბრძოლის. ომში, რომელიც სუვერენსა და დამნაშავეს შორის მიმდიანრეობს, მეფე იმარჯვებს; ამ ომმა იმ უზარმაზარი ძალაუფლების დემონსტრირება უნდა მოახდინოს მათზე, რომლებიც მან უძლურად აქცია. ეს ასიმეტრია, ძალთა შეუქცევადი უთანაბრობა, საჯარო დასჯის არსებითი ელემენტია. დასჯის ცერემონიალი ტრიუმფს ასიმბოლოებს. ჯალათი, არა მხოლოდ ცხოვრებაში გაატარებს კანონს, არამედ ძალასაც იყენებს. ის ძალადობის იარაღია, რომელიც ლაგამს ამოსდებს დანაშაულს. რაღაცა აზრით, ჯალათი მეფის მახვილი, მისი დამცავი იარაღია. ნებისმიერი წვრილმანი დამნაშავეც კი მეფის პოტენციური მკვლელია. მეფის მკვლელი კი აბსოლუტური დამნაშავე, ის სამეფო ძალაუფლების ჩახშობას, მისი ფიზიკური განადგურებით აღწევს. მეფის მკვლელის იდეალური სასჯელი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ყველა შესაძლო წამების ჯამი, როგორც უსასრულოდ გაგრძელებული შურისძიება.

საჯარო დასჯის ცერემონიალის მთავარ და უშუალო პერსონაჟს ხალხი წარმოადგენდა, მის განსახორციელებლად მოითხოვებოდა ამ უკანასკნელის დასწრება. მისი მიზანი შინაგანი ძალაუფლების სახით ძრწოლის გაჩენაა. ხალხმა უბრალოდ კი არ უნდა იცოდეს დასჯის შესახებ, არამედ საკუთარი თვალითაც უნდა იხილოს. რაღაცნაირად ხომ უნდა აიძულო ისინი შიშით ძრწოდნენ. ამასთანავე, ისინი დასჯის მოწმეები, გარანტები და რაღაც დოზით თანამონაწილეებიც უნდა იყვნენ. დასჯილს დიდხანს დაატარებენ, ამცირებენ და ჩადენილ სიმხეცეს შეახსენებენ, მასების მხრიდან ის ხვდება შეურაცხყოფას და ზოგჯერ თავდასხმებსაც. მონარქის შურისძიებაში ხალხის შურისგებაც უნდა მოიძებნოს. ეს უკანასკნელი კი სრულიადაც არ შეადგენს მონარქის შურისძიების საფუძველს; მეფე სრულიადაც არ გამოხატავდა ხალხის შურისძიებას. უფრო მეტიც, ხალხი მიწვეული იყო, რომ მეფის მტრებზე შურისძიების თანაზიარი ყოფილიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მტერი - ხალხის რიგებიდან იყო.

ზუსტად მაშინ, საყურებლად მოზიდული ხალხს შეეძლო მწამებელი ძალაუფლების მიმართ უარყოფითი რეაქცია გამოეხატა და ზოგჯერ ბუნტზეც წასულიყო; დაბრკოლებები შეექმნათ უსამართლოდ შეფასებული სასჯელის აღსრულებისათვის, ჯალათის ხელიდან გამოეგლიჯათ დასჯილი და მისი შეწყალება ძალით მიეღწიათ; ზოგჯერ ჯალათსაც კი თავს ესხმოდნენ, სწყევლიდნენ მსაჯულს და დრტვინავდნენ განაჩენის გამო - ეს ყოველივე იმ რიტულზე უარის თქმაა, რომელსაც წესრიგი შეჰქონდა მათში.

ხალხი ეშაფოტისკენ მხოლოდ იმიტომ როდი მიეშურებოდა, რომ დამნაშავის ტანჯვა ეხილა ან ჯალათის რისხვა აღეგზნო; ისინი იმ ადამიანის მოსასმენადაც მიდიოდნენ, რომელსაც დასაკარგი უკვე აღარ აქვს და რომელიც სწყევლის მსაჯულებს, კანონებს, ძალაუფლებას, რელიგიას. გარდაუვალი სიკვდილის წინ დამნაშავე იმას ლაპარაკობდა რისი თქმაც სურდა, რასაც მაყურებლები მიესალმებოდნენ. ასეთი დასჯისას, ხალხის წინაშე, რომელიც მეფის შემაძრწუნებელი ძალაუფლების დემონსტრირებისთვის იყო მიწვეული, ადგილი ჰქონდა კარნავალურობას: როლების ცვლას, დამნაშავეები გმირებად იქცნენ. ხალხი ისე არსად გრძნობდა თავს დასჯილის ჭირისუფლად, როგორც ამ რიტუალებისას.

საჯაროდ დასჯის ცერემონიიდან, სადაც ძალადობას ნებისმიერ წამს შეეძლო საწინააღმდეგო მხარეს შებრუნებულიყო, დიდი ალბათობით გამყარებული გამოდიოდა სოლიდარობა და არა სუვერენის ძალაუფლება. XVIII-XIX საუკუნეების რეფორმატორები იძულებულები გახდნენ შეეგნოთ, რომ საბოლოო ჯამში, საჯაროდ დასჯა ხალხს ვერ აშინებდა.